



## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060151708228816

### ბრძანება №187

ქ. თბილისი

07 / აპრილი / 2016 წ.

**„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს  
გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
მინისტრის 2015 წლის 10 ნოემბრის №ი-864 ბრძანებაში ცვლილების შეტანის  
თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 -ე მუხლის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 10 ნოემბრის №ი-864 ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ვასილ გედევანიშვილი - სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსი - საბჭოს წევრი;

ი) ნონა ხელაია - ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - საბჭოს წევრი“.

2. ბრძანება ღიად განთავსდეს სამინისტროს შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე(საჯაროდ გაცნობისთანავე);
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.№6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

